№ 229

სამშაბათი, 24 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 229

სამშაბათი, 24 ოქტომბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**იოსებ ივანეს ძე რატილი**

სთხოვს ყველა მსურველთ ახლავ შეატყობინონ ამ მომღერალთ დასში შესვლის სურვილი; რეპეტიციები ამ კვირაში დაიწყება.

ადრესი ვორონცოვის ქუჩა, № 5.
(5—უ—4).

**ვ ე ქ ი ლ ი ჟ ა ნ ი** [sic: ვაისრუღოვ? illegible heading]

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველნი მოვკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, ითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**კბილის ექიმი ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16 ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—16)

**ქართული სამკითხველო,** რომელიც იმყოფებოდა კოჩუბეის ქუჩაზედ, გადატანილი იქმნა მოლოკანთა ქუჩაზედ, სახლი №-5 იაფ-ფასიან სასადილოს პირ-და-პირ.
(5—უ—3).

## თავ. რაფიელ ერისთვის იუბილე.

კვირას, 22 ოქტომბერს, ტფილისმა დიდის ამბით გარდიხადა ქართველთა საეროვნო დღესასწაული, დიდისამბით იდღესასწაულა საყვარელ პოეტის, თავ. რაფიელ ერისთვის, ორმოცდა-ათის წლის მოღვაწეობის იუბილე.

დილის ათ საათიდგანვე რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ეკკლესიის გალავანში და ქუჩაში. 11 საათზედ მოვიდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ: იუბილარი და მის პირდაპირ თავ. ილია ჭავჭავაძე და თავ. აკაკი წერეთელი. ამ ეტლს თან მოჰყვა სხვა ეტლებიც, რომელშიაც ისხდნენ თავ. რაფიელის სახლობა და ნათესავები პოეტისა.

დაიწყო პარაკლისი, რომელიც გარდიხადეს ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და არხიმანდრიტმა ლეონიდემ მრავალ სამღვდელოებათა თანადასწრებით. პარაკლისზედ სხვათა შორის იყვნენ: ბატონიშვილი პეტრე, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. მუხრანბატონი, კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალი ი. ამილახვარი, გენერალი თავ. ივ. ჭავჭავაძე, გენერალი თავ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, გენერალი ბუჭიაშვილი, რუსის პოეტი ვ. ლ. ველიჩკო, წარმომადგენლები ტფილისისა და პროვინციის ქართულ-სომხურ-რუსულის ჟურნალ-გაზეთებისა, დეპუტაციები სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა, დეპუტაციები საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან და სხვანი და სხვანი. პარაკლისზედ გალობდა ქართული ხორო ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა. პარაკლისი დასრულდა „მრავალ-ჟამიერის“ წარმოთქმით იუბილარისთვის. პარაკლისის შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ მიჰმართა იუბილარს მოკლე და გრძნობით სავსე სიტყვით და დალოცა მაცხოვრის ხატით. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა არხიმანდრიტმა ლეონიდემ, რომელშიაც გამნარტა ქართულის ლიტერატურის მნიშვნელობა და ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის თავ. რაფიელს სამშობლოს წინაშე. იუბილარი დალოცა და ხატი მიართვა აგრეთვე ქვაშვეთის ეკკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ჭრელაშვილმა. ეკკლესიის გალავანში და ქუჩაში იუბილარს შეგროვილი ხალხი ქუდ-მოხდილი დახვდა და მიულოცა. დიდძალი ხალხი დაიძრა და გასწია ქართულ თეატრისაკენ, სადაც წაიყვანეს იუბილარიც. თეატრის დარბაზში და კორიდორებში შეგროვდა მრავალ-ათასოვანი ხალხი. ქარვასლის შესავალში იუბილარს მიეგებნენ ქართულის მარშით, რომელიც დაუკრა სამხედრო მუსიკამ და ქართულის სიმღერებით, რომელიც აღასრულეს გურულებისა და ბ. რატილის ხორომ. თეატრის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული ყვავილებით, გვირგვინებით, ვენზელებით და სხვა. 12 საათზედ აიხადა ფარდა და საზოგადოების თვალ-წინ გადაიშალა მშვენიერი სურათი. სცენაზედ, მარჯვნით, აღმართული იყო იუბილარისათვის ესტრადა. გარშემო ისხდნენ და იდგნენ დეპუტაციები საჩუქრებითა და ადრესებით ხელში, წინ მანდილოსნები, იქით-აქეთ სხვა-და-სხვა გვარ ტანისამოსით საქართველოს სხვა-და-სხვა მხარიდგან და თემიდგან რიგ-რიგად ისხდნენ და იდგნენ წარმომადგენელნი. როგორც-კი გამოჩნდა თავ. რაფიელი, მთელი თეატრი ფეხზედ წამოდგა და ერთხმად იგრიალა „ვაშა, ვაშამ“! რამდენიმე წუთის განმავლობაში საშინელი ხმაურობა იყო და ისმოდა ტაშის ცემა და „ვაშას“ ყვირილი. აღტაცებული საზოგადოება საშინლად ღელავდა. დაწყნარდა თუ არა საზოგადოება, იუბილარმა დაიჭირა ალაგი ესტრადაზე; ესტრადას ქვემოთ, იუბილარის მარჯვნით დაჯდა თავადი აკაკი, მარცხნით თავადი ილია. გურულებისა და რატილის ხორომ იმღერეს ეროვნული მოტივები და შემდეგ დაიწყო მილოცვა. ყოველი დეპუტაცია რიგ-რიგად კითხულობდა ადრესს და მილოცვას. სულ იყო 47 დეპუტაცია. წაკითხულ იქმნა დეპეშები საქართველოსა და რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდან, ლექსები*) და სხვა. იუბილარს მიართვეს აგრეთვე მრავალი საჩუქარი**).

ჩვენმა სტუმარმა, რუსის პოეტმა ველიჩკომ მიულოცა მშვენიერის ლექსით, რომელსაც ამ ნომერშივე ვბეჭდავთ. გარეშეთაგან სიტყვები წარმოსთქვეს და ადრესები წაიკითხეს აგრეთვე გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორმა ბ. მილიუტინმა, „ნოვ. ობოზ.“ რედაქტორმა ვ. მ. თავ. თუმანიშვილმა, „არძაგანქის“ რედაქტორმა ბ. იოანისიანმა და წარმომადგენლებმა „ტიფლ. ლისტოკისა“, „მშაკისა“, „ტარაზისა“, „აგბიურისა“ და „ნორდარისამ“. ყოველს დეპუტაციას და ადრესს საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა. მილოცვა დასრულდა $2\,^1/_2$ საათზე. იუბილარმა მადლობა გარდაუხადა ყველას და აღტაცებულმა ხალხმა სიმღერით და „ვაშას“ ძახილით გააცილა საყვარელი მგოსანი.

საღამოს მშვენიერად მორთულს თეატრში გაიმართა საიუბილეო წარმოდგენა იუბილარისა, მისის სახლობისა და უთვალავის საზოგადოების თანადასწრებით. წარმოდგენილ იქმნა თავ. რაფიელის პიესები: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. როლები დარიგებული იყო საუკეთესო არტისტთა შორის, (სხვათა შორის პირველად ამ სეზონში ითამაშეს ქბბ. გაბუნია-ცაგარლისამ და საფაროვისამ) და ამიტომ წარმოდგენამ მეტად მწყობრად და სასიამოვნოდ ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ იუბილარმა დაიჭირა ისევ ესტრადაზე თავისი ადგილი. გარეშემო ლამაზად რიგ-რიგად იდგნენ არტისტები და არტისტი-ქალები ქართულის დასისა, წარმომადგენელნი ქართულ დრამატიულის საზოგადოებისა, წარმომადგენელნი რუსთა და სომეხთა არტისტთა დასებისა და ბ. რატილის ხორო. ბ. ყურულმა წაიკითხა ადრესი დრამატიულ საზოგადოებისაგან და მიართვა იუბილარს დიპლომი „საზოგადოების“ საპატიო წევრისა. შემდეგ წაიკითხეს ადრესები და მილოცვა ქართულის, სომხურისა და რუსულის არტისტთა დასებისაგან.

ქართულ ხოროს მაგიერ მიულოცა ბ. რატილმა. იუბილარს მიართვეს საჩუქრები და გვირგვინები დრამატიულ საზოგადოებისა და დასებისაგან, აგრეთვე წინამძღვრიანთ-კარის სკოლისაგან, სემინარიელთაგან და სხვა. იგრიალა „ვაშა, ვაშამ“ სამხედრო მუსიკამ მარში დაჰკრა, ქართულმა ხორომ „მრავალ ჟამიერი“ შემოსძახა და საიუბილეო საღამო დასრულდა.

წარმოდგენის შემდეგ ქართულ თავად-აზნაურთა ქარვასლის საზამთრო ბაღში გაიმართა ვახშამი, რომელსაც სამასამდე ქალი და კაცი დაესწრო. მარჯვით იუბილარს უჯდა თავ. ილია ჭავჭავაძე, მარცხნით აკაკი; იქვე ისხდნენ ბ. ველიჩკო თავისის დით, ქბ. ეკ. გაბაშვილისა და სხვანი. ტოლუმბაშათ არჩეულ იქმნა გ. ყარანგოზიშვილი. პირველი სადღეგრძელო დალიეს საყვარელ იუბილარისა, შემდეგ ილიასი და აკაკისა, შემდეგ ბ. ველიჩკოსი, შემდეგ თითოეულ დეპუტაციისა და საქართველოს ყველა ნაწილისა საკუთრად. ვახშამზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა და დუდუკი, მღეროდნენ რატილისა და გურულ-იმერლების ხოროები. სიტყვები წარმოსთქვეს აკაკიმ, ილიამ, გ. წერეთელმა, ბ. სუნდუკიანცმა, თავ. ივ. მაჩაბელმა, გ. აბაშიძემ და სხვებმა; წაკითხულ იქმნა ლექსები; ბ-ნმა ველიჩკომ წარმოსთქვა რამდენიმე ექსპრომტი. დიდი აღტაცება გამოიწვია იუბილარის მადლობამ მშვენიერის ლექსით, რომელიც ორჯელ იქმნა წაკითხული. ვახშამმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. ვახშმის შემდეგ გაიმართა ლეკური და დიდად ნასიამოვნები საზოგადოება დილის მეოთხე საათზედ დაიშალა.

*) ლექსები წაიკითხეს. რუსის პოეტმა ვასილ ველიჩკომ, ნ. კ. ნინო ორბელიანისამ, დ. მაჩხანელმა, ა. ახნაზაროვმა, ი. ევდოშვილმა, ა. წულაძემ, მეჩექმეთა წარმომადგენელმა, რუსიმერელმა და ტფილისელ ხელოსანთა წარმომადგენელმა.

**) დეპუტაციები, ადრესები, ლექსები, საჩუქრები და დეპეშები ცალკე გვექნება ჩამოთვლილი. ზოგიერთი დეპეშა, ადრესი და ლექსი დაიბეჭდება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

რადგან ჩემთვის შეუძლებელია მადლობა გარდავუხადო ცალკ-ცალკე წერილებით ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც პატივი-მცეს და მომილოცეს 22 ამ თვისას, 50 წლის იუბილეი, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულს რედაქციას გამოაცხადოს ჩემი გულითადი მადლობა და პატივისცემა ყველასთვის საერთოდ.

თავ. რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

23 ღვინობისთვეს.
1895 წ.

# ახალი ამბავი

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. სიმ. წერეთელს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

„ვმადლობ ქუთაისის თავად-აზნაურობას და თქვენცა მოლოცვისა და ჩემდა სადღეგრძელოდ ლოცვა-ვედრებისათვის.

ნიკოლოზ.“

ეს დეპეშა იყო პასუხი იმ დეპეშისა, რომელიც გაგზავნა ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა. მოგვყავს ეს დეპეშაც:

„განვუცხადებთ-რა თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას გრძნობასა განუსაზღვრელის ერთგულებისას, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა და მე ჩვენს ბედნიერებათა ვთვლით მოულოცოთ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას დიდად სადღესასწაულო დღე თქვენის მამა-პაპათა ტახტზედ აზრძანებისა. ღმერთსა ვსთხოვთ ხანგრძლივ-ჰყოს სიცოცხლე თქვენი და უავგუსტოესისა სახლობისა თქვენისა.“

*** გამოვიდა ორი წიგნი ივანე როსტომაშვილისა „გამოცემა პატარებისათვის რწყილი და ჭიანჭველა“ და „მოდი ვნახოთ ვენახი“. პირველს წიგნში 16 გვერდია და 11 სურათი, ღირს სამი შაური. გაგზავნით 17 კ. მეორე წიგნში 12 გვერდია და 9 სურათი, ღირს ორი შაური. გაგზავნით 12 კაპ.

*** გაზ. „კვალის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ: «კვალის» ამ კვირის ნომერი № 45 სტამბის მიზეზით გაფუჭდა და ტფილისის მკითხველებს ეს ნომერი მეორედ დაურიგდებათ.

*** გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ს ახალქალაქიდგან ატყობინებენ, რომ აქ დაარსდა საავადმყოფო; საავადმყოფოს მიჩენილი ჰყავს ერთი ექიმი, სამი ფერშალი და ერთი ბებია-ქალი.

ტფილისის გუბერნიაში ამისთანა საავადმყოფოები რვა მაზრაშია დაარსებული. ამ ჟამად მხოლოდ ერთს ახალციხის მაზრას-ღა აკლია და აქაც არ დაუარსებიათ აქამდის იმიტომ, რომ ვერ უშოვიათ საავადმყოფოსათვის შესაფერი შენობა.

*** ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის ქართველ მოხელეებს შეუგროვებიათ ფული რაფიელ ერისთვის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ.

*** რედაქციამ მიიღო 10 მ. ახალ-ბაიაზეთიდგან ბ-ნ. ზედგინიძისაგან ქვემო-მაჩხაანის დეპოს საწევრო ფულად.

## შესხმა,

თქმული რაფიელ ერისთავის ორმოცდა-ათის წლის იუბილეს დღეს.

აღმოსთქვა გულმან ჩემმან სიტყვა კეთილი (ფსალ. 44, 1).

დღევანდელი დღე საქართველოში შეადგენს რაფიელის სრულ საკუთრებას. სწავლული და მოსწავლე, მხცოვანი და ჭაბუკი, გლეხი და თავადი, ქალი და ვაჟი, ბარად და მთად, სოფლად, დაბად და ქალაქად ჰპჭობს, მსჯელობს, ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოდ იმ სასიქადულო

მამულიშვილზედ, რომლის „გულმა ამოსთქვა სიტყვა კეთილი“, რომელმაც დაგვასაჩუქრა ხელის-ხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტებრივი ლექსებით, რომელთა კითხვას არა ერთ გზის დაუტკბივართ, ვუნუგეშებივართ, გავუმხნევებივართ, ზნეობრივ გავუზრდივართ და გავუფაქიზებივართ, ვითარცა გულითადს ლოცვას.

სამშობლო, ანუ ის მცირედი ნაწილი დედამიწისა, სადაც ვჩნდებით და პირველად ვახელთ თვალს, რომლის ჰავით ვიწყებთ დაბადებისავე უმალ სუნთქვას, სადაც ფეხს ვიდგამთ და ვიმართებით წელში, ერთობ ძვირფასი, ერთობ საყვარელი, ერთობ ტკბილი და სასიამოვნო რამ არის ყველასათვის. ენა, რომლითაც დავუტკბივართ დედას თვისის ალერსით, რომლის შემწეობითაც მიგვიღია მონაწილეობა სწორ-ამხანაგთა ლხინ-გართობაში, რომელზედაც გვსმენია ეკკლესიაში დამატკბობელი ლოცვა-გალობა, ძვირფასი და საწადელია ჩვენთვის. მუდამ გვიზიდავს მშობელი სოფელი თავისს ვენახ-ჭალებით, მინდორ-ტყეებით, თავისის კეთილ, სათნო, მუდამ შრომაში მყოფი მკვიდრებით. ამ სათაყვანო საგნებს უმოქმედნიათ და ამოქმედებენ დღესაც მთელს სახელმწიფოებს, მათთვის უწირავთ და სწირვენ დღესაც თავიანთ გონებრივ ძალას ყოველი თემის საუკეთესო შვილები. უბედური, უმერმისო და უდღეურია იგი ერი, რომელსაც გაჰნელებია ეს საღმრთო ცეცხლი, რომელსაც შესცვლია მამულზედ გული და დაუკარგავს სამშობლო ენა. ამგვარი ერი თითონ ისპობს არსებობის ფესვს, თითონ იხმობს სიცოცხლის მკვიდრობის ძირს და ემზგავსება გამხმარ ქარქვეტს, რომელსაც მცირე ქარიც ადვილად ჰგლეჯს ძირიანად მიწიდგან და მიმოაქვს, საითაც-კი მოუხდება.

სანუგეშოდ და სასიქადულოდ ჩვენდა უნდა ითქვას, რომ ამგვარ სენს არ ჰქონია საზოგადოდ ალაგი ჩვენის ერის წარსულს ცხოვრებაში, ნაკლებია იგი ჩვენ შორისაც და აი ამისი თვალსაჩინო საბუთი ხომ ეს დღევანდელი ჩვენი ყრილობაცაა.

რისთვის მოსულან ამოდენა წარმომადგენლები საქართველოს სხვადა-სხვა კუთხეებიდგან, თუ არ იმისთვის, რომ პირადად გამოუცხადონ გულითადი პატივისცემა და წრფელი თანაგრძნობა იმ პირს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუწირავს დედა-ენის, მამულისა და მშობელი ერის სამსახურისათვის, რომელსაც სიცოცხლეში ულხენია მშობელი ერის სიხარულით და უკვნესია მისივე კვნესით, რომელმაც უკვდავი ლექსებით, ღრმა გრძნობებით და ხელოვნური სურათებით გადაგვიშალა თვალ-წინ ქართველის გულის სივრცე-სიფართოვე, ქართულის ენის სიღრმე-სიმდიდრე, ქართველი გლეხის ჭირი და ლხინი, თანდილა, ზერუა, თინია და სესიეების ავი და კარგი, მათი გრძნობა და მისწრაფებანი! საღმრთოდ ჰსჩნევია და მიაჩნია დღესაც ქართველს აღნიშნული საგნები. ძვირად აფასებს და ღრმად პატივს-სცემს იგი ყველას, ვინც-კი მადლიანი კალმით ეხება ამ საგნებს და ხელოვნურად, გრძნობიერად, მარჯვედ, ფსიხოლოგიური სინამდვილით გამოსთქვამს მათ სიდიადეს, მათ სიმაღლეს და მნიშვნელობას. ფას-დაუდებელ იუბილარს, როგორც ქართველი ერის ღვიძლ შვილს, კარგად ჰსმენია, რა იზიდავს ქართველის გულს, რა მიაჩნია ქართველს ყველაზედ უძვირფასესად, რას ავედრებს იგი მუდამ-დღე უფალსა და სწორედ ამ საგნების საგალობლად, ამ საგნების საქებლად, ამ საგნების დასასურათებლად უშრომია მას დაუღალავად მთელი ორმოც და-ათი წელიწადი, უშრომია, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ უფრო დაუახლოოს იგინი ქართველის გულს, მეტად შეაყვაროს იგინი მას, მეტის ძალით აგრძნობინოს ქართველს სამშობლოს სიყვარული, დედა-ენის უაღრესობა და მშობელი ერის საკეთილ-დღეოდ უანგარო მუშაობის სიტკბოება.

თუ რა მადლით, რა ნიჭით და ძალით არის აღბეჭდილი იუბილარის „გულიდამ აღმონათქვამი კეთილი სიტყვა“, ამას ცხად-ჰყოფს დღევანდელი, სიყვარულით აღვსილი, პატივისცემით აღფრთოვანებული, მადლობის გადახდის სურვილით გატაცებული კრება. ამერ-იმერნი, ბარელ-მთიელნი, მღვდელნი და ერი თანაბრად შევტრფით ნიჭიერს მგოსანს ნიშნად იმისა, რომ მის ნაწერებს დიდად უმოქმედნიათ ჩვენზე, მისი მადლიანი სიტყვა ჩაგვწვდომია ყველას გულის სიღრმემდე, მისი აზრი და მისწრაფება მიგვიღია ყველას სახელმძღვანელოდ. დიაღ, ბედნიერი იუბილარი თავისის თვალით ხედავს დღეს, რომ მას არ უშრომია ამაოდ, მიუღწევია თავისის შრომის პატიოსნური მიზნისთვის—„მისი გულიდგან აღმონათქვამს კეთილ სიტყვას“—გაუღვიძებია ქართველის გულში მამული-შვილობის მნათობი ალი და სწორედ ამ აზრის შეგნება, ამ აზრზე გულის დაჯერება შეადგენს მისთვის უმაღლესს ჯილდოს.

მაგრამ, მხიარულნო მსმენელნო, საყვარელი მწერალი მოიმკის დღეს ჩვენ შორის თავისის ნათესის მხოლოდ ოც-და ათს ნაყოფს; სრული ნაყოფი-კი კეთილ მიწაზედ ნათესისა, სახარების სიტყვით, შეადგენს რომელიმე სამეოცს და რომელიმე ასს. აი სწორედ ამ სრული და უხვი სამკალისკენ გაიმზირება დღესაც მოხუცი მწერალი და ჩვენ, თუ გვსურს ჯეროვნად დავაჯილდოოთ იგი, თუ გულით გვწადია შესაფერად დავუფასოთ მას ნახევარ საუკუნის განმავლობაში მამულისთვის თავდადებული შრომა და ჯაფა, მოვალენი ვართ გავუმზადოთ მისს ნათესს შესაფერი ნიადაგი, ვეცადნეთ ყოველის ღონისძიებით, რომ იუბილარის ნაჭირნახულევმა აღმოაცენოს ასი ნაყოფი. ნიადაგი, რომელსაც უნდა ხელი შევუწყოთ სრული სამკლის მის საღებად, არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მოზარდი თაობა. ყოველი მშობელი, რომელსაც მართლა ძვირფასად მიაჩნია ქართველობა, მოვალე სიყრმიდგანვე შეაყვაროს და მტკიცედ დაუნერგოს თავისს შვილს მშობელი ერის საქებური ზნე-ხასიათნი, შეუსისხლ-ხორცოს მისი (ერის) აღმაფრთოვანებელი სულის სიმაღლე, შეაწოვოს და შეადუღოს მისი (ხალხის) მხნეობა, დარბაისლობა და დიდსულოვნობა, აღუძრას შვილებ-სამშობლო ენაში წრთვნის განსაკუთრებითი ხალისი მომეტებული სიყვარული და გულ-მოდგინება, მოაწყოს იმ გვარად თავისი შვილების გონებითი განვითარების გზა, რომ სულით და გულით იზიდავდეს მათ სამშობლო ენის შესწავლის წადილი, მშობელ ენაში ვარჯიშობა შეადგენდეს მათთვის გონების არსებითს მოთხოვნილებას. ამგვარ გზა-კვალზედ დადგომით ერთის მხრით რომ ჯეროვანად დავასაჩუქრებთ გულითადად პატივცემულს იუბილარს და სხვათა მის გვარ საზოგადო მოღვაწეთ, მეორე მხრით მივცემთ საშუალებას ჩვენს შვილებს გონივრულად და მოსაზრებით დაუკავშირონ მათ თავიანთი ცხოვრება მამა-პაპათა სახელოვანს ცხოვრებას; შესაძლოდ გავხდით ჩვენის შვილებისთვის მეტის სისწორით, მეტის შეგნებით, მეტის სიმტკიცით და გარკვევით მოქმედებას. უამისოდ-კი მათი ქცევა-ცხოვრება იქნება უფრო წაბაძვითი, ვიდრე დამოუკიდებელი, უფრო შემთხვევითი, ვიდრე გაზომილ-მოსაზრებული, უფრო უაზრო, ვიდრე ეროვნულის თვისებებით აღბეჭდილ-დაფერადებული!

ღმერთო მამათა ჩვენთაო, მომნიჭებელო ყოვლისა კეთილისაო, მოჰმადლე მშვიდობა და დღეგრძელობა მამულისათვის დამაშვრალს თავადს რაფიელს; განაგრძე სასიქადულოდ ჩვენდა დღენი ცხოვრებისა მისისანი და ჴღირს ჰყავ იგი მის წრფელთა წადილთა სავსებით აღსრულებისა—! „მისის გულიდგან აღმონათქვამ კეთილის სიტყვის“ ასის ნაყოფის მომკისა. ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

## ადრესები

თავადო რაფიელ!

სიამოვნებით მოგილოცავთ დღევანდელს ღირს-შესანიშნავს დღეს და

# ფელეტონი

## ლექსი, თქმული თავ. რ. ერისთავის იუბილეს დღეს.

### Кн. Рафаилу Эристову.

Когда потомокъ властелина,
Свой долгъ предъ родиной понявъ,
Смѣнилъ насилье древнихъ правъ
Работой любящаго сына;

—

Когда поэтъ, живой мечтой
Въ мірахъ заоблачныхъ парящій
Склоняетъ взоръ къ землѣ скорбящей
И льетъ ей пѣснь любви святой;

—

Когда со словомъ дѣло дружно
И въ пѣсняхъ сердце говоритъ,—
Его наградою даритъ
Самъ Богъ!.. Ему хвалы не нужно!..

—

Самъ Богъ ведетъ пѣвцовъ, любя,
Путями творческой свободы!
Пѣвцовъ привѣтствуютъ народы,
Чтобъ въ нихъ любить самихъ себя!

—

И ты, поэтъ, сдержавшій клятву
Служить отчизнѣ, все презрѣвъ!
Полвѣка длился твой посѣвъ!
Взгляни, взгляни теперь на жатву!

—

Сыны родной тебѣ земли:
И кахетинцы, и сванеты,
И самъ хевсуръ, тобой воспѣтый.—
Всѣ бить челомъ тебѣ пришли!..

—

Единокровнаго аджарца
Здѣсь иновѣрная чалма!
Старинныхъ распрей злая тьма
Бѣжитъ предъ свѣтлымъ взоромъ старца!

—

И съ береговъ, на видъ чужихъ,
Пришелъ я, полонъ русскимъ братствомъ!..
Къ своимъ сегодняшнимъ богатствамъ
Прибавь и мой смиренный стихъ!..

Василій Величко.

г. Тифлисъ.
22-го Октября, 1895 г.

### თავ. რაფიელ ერისთავს

(თარგმანი გრ. აბაშიძისა).

ოდესაც ნაშთი ძველისა მთავრის
ქვეყნის სამსახურს დაენაცვალა,
წმინდა შრომაზედ მოყვარულის ძის
ძალ-მომრეობა ძველთა შესცვალა;

—

ოდეს მგოსანი ცხოველ ოცნებით
მიმონავარდობს, შეჰკამათობს ცას,
სიყვარულის ცრემლს ციურ ჰანგებით
აფრქვევს და აფრქვევს დაღვრემილს მიწას;

—

ოდესაც სიტყვა საქმესა სთანხმობს
და სიმღერაში ისახვის გული,—
მას თვითონ ღმერთი კურთხევით სწყალობს,
არ უნდა ქება აღტაცებული!..

—

მგოსნები თვით ღმერთს ალერსით დაჰყავს
თავისუფალ გზით შემოქმედობის
ხალხი სიამით მათ უძღვნის სალამს,
სიყვარულის წილ და ნიშნად ძმობის!..

—

მგოსანო, ფიცით ვარს-ჰყოფდი ყოველს,
მამულს სწირავდი სამსახურს და ძალს,
ხნავდი და სთესდი ორმოც-და-ათს წელს
და ჰა, მოესწარ უკვე მოსავალს!..

—

მოხუცო, შენის სამშობლოს შვილნი,
კახელნი, სვანნი შეერთებულან,
შენგან რჩეულნი მღერით ხევსურნი
შენს სათაყვანოდ ერთად მოსულან!

—

ქართველთ ერთ სისხლის აჭარელისა,
ოსმალთ დოლბანდი გესალბუნება
და ბილწი გუნდი ძველის მტრობისა
შენს კეთილ თვალ-წინ სრულიად ჰქრება!..

—

და მეც შორიდამ მოვედ ამ მხარეს,
ძმური გრძნობები შევიკავშირე
და გთხოვ—მონახვეჭს დღეის სიმდიდრეს
ეს ჩემი ლექსიც დაურთო მცირე!..

ვასილ ველიჩკო.

ქ. ტფილისი, 22 ოქტომბერს 1895 წ.

### თავად რაფიელ ერისთავის 50 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის დღესასწაულის გამო.*)

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

ი. ჭავჭავაძე.

წრევანდელი წელიწადი უნდა აღინიშნოს ჩვენის წარმატების ისტორიაში, როგორც დიდად საყურადღებო და მრავალ-მნიშვნელოვანი. ოდესღაც ჩვენი წარჩინებული პოეტი, აწმყოთი გულ-დაწყლულებული, სასოწარკვეთილებით ალაპარაკებდა აჩრდილს:

ეხლა რაღაა!.. განჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელს შენს შვილს არც აგონდება.

იქნება ამ სიტყვებში გამოთქმულს საყვედურს გულმხურვალე პატრიოტისას ოდესღაც მართლა ჰქონდა საფუძველი, მაგრამ დღეს-კი სწორედ დიდი უსამართლობა იქნება, რომ ვინმემ დაუდევრობა და ქვეყნისათვის საყურადღებო კითხვებისადმი გულცივობა შესწამოს ქართველს ერს. ქართველი ერი არ იყო რომ ამ ერთის თვის წინად აღფრთოვანდა, როგორც ერთი კაცი, უწმიდესის სურვილით, თამამად დასძლია ათასგვარი ხელ-ფეხის შემხუთავი პირობები და კწრანისის ველზედ ლოცვით მოიგონა შავი დღე „ქართლის ბედის გარდაწყვეტისა“! მოიგონა ეგ ბრწყინვალე და თან გულის დამთუთქველი ეპიზოდი იმ საკვირველ გმირობით სავსე ეპოპეისა, რომელსაც ჰქვიან საქართველოს ისტორია. ორი ათასის წლის განმავლობაში სისხლით და ოფლით მონაგარი ეროვნული დიდება და სახელი ქართველებისა დაიმარხა კრწანისის ბაღებთან... აქ მოეღო ბოლო ოდესღაც მორჭმულ-ძლიერს საქართველოს, მის ძველს თავისუფალს გზაზედ მავალს ცხოვრებას, აქ დასრულდა ტრაღიკული ისტორია ძველის საქართველოსი. ვინ გადავა განგების ნებას! ვინ შესცვლის დაურღვეველს კანონებს ბუნებისას და ისტორიისას! ამ ისტორიის კანონების ძალით დაემხნენ მრავალნი დიდებულნი სახელმწიფონი ძველის დროისა, ის სახელმწიფონი, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან აკვნად კაცობრიობის განათლებისა და შემქნელად დიადის ხელოვნებისა, იმ ხელოვნებისა, რომელზედაც აღიზარდა მთელი კაცობრიობა. სადღა არიან ეხლა დიდებულნი სახელმწიფონი აღმოსავლეთისა, სადღა არიან ეხლა ძველი საბერძნეთი და რომი! აჩრდილი-და დარჩენილა მათი...

ვერც საბრალო საქართველო წაუვიდა ისტორიულს კანონებს; ვერ იხსნა ის დაცემისაგან და გათახსირებისაგან ვერც ერეკლეს დიდებულმა სტრატეგიულმა ნიჭმა და სიყვარულმა, ვერც ფოლადმა მკერდმა თავდადებულის შვილებისამ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს ეწვია შავი ბედი. ყოველივე ის, რაც 11 სექტემბერს, იმ შავ დღეს და მას შემდეგ მოხდა, ესე იგი ღალატი, სიმუხთლე და ცბიერება, როგორც ჩვენის მოძმეების მხრით, ისე სხვების მხრითაც, რის მოგონებაც დღეს, ასის წლის შემდეგ, გულს გვიკლავს, სწორედ უნდა მომხდარიყო გარდუვალ ისტორიულ კანონების ძალით. რასაკვირველია, არაფერი სანუგეშოა ადამიანისათვის ამგვარი საბუთი, იმ ადამიანისათვის, რომელსაც თავისი თავი ბუნების თვალად დაუსახავს და ჰგონია შეუძლიან ყოველგვარ მოვლენათა ისე წარმართვა, როგორც თვითონ ჰსურს. რასაკვირველია, არაფრად გვეჭაშნიკება იმ მეცნიერ ისტორიკოსების აზრი, რომელნიც ერთობ ამცირებენ საზოგადოდ კაცის როლს ისტორიულს წინ-მსვლელობაში, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ-კი ჩვენს სურვილს და მოწონებას ყურადღება არ ექცევა, თუ-კი ჩვენს ქეიფზედ საზოგადო განვითარების კანონები არ იცვლებიან...

11 სექტემბერს მთელმა ქართველობამ მოიგონა არა მარტო კრწანისის ბაღებთან თავ-დადებულნი მამულისშვილნი, მან მოიგონა იმ დღეს მთელი ძველი საქართველოს ცხოვ-

*) იხ. «ივერია» № 228,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღესვე ვულოცავ ჩვენს მესვეურს წოდებას—საქართველოს თავად-აზნაურობას. თქვენი მოღვაწეობა მუდამ იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ ეგ წოდებაც განუყოფელი ნაწილია ჩვენის ერისა. თქვენმა მადლით მოსილმა ნიჭმა ჰპოვა და გამოსთქვა ის წმიდა გრძნობანი, რომელიც ერთნაირის ძლიერებითა სძგერს ჩვენს გულში და გვაერთებს მდაბიოსა და კეთილშობილსა. დიაღ, თავადო, გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, როგორც „თქვენს ხევსურს“ — თვისი სალი კლდე და „არ გავცვლით ჩვენსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მოგილოცავთ განვლილ 50 წლის მოღვაწეობას და გმადლობთ თავად-აზნაურობის სახელითა. ვისურვებ თქვენს კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენის ქვეყნის სამსახურადა და სადიდებლად.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი.

—

**ჩვენო სასიქადულო მგოსანო, ძვირფასო თავადო რაფიელ!**

გურიამ წარმოგვგზავნა თქვენ წინაშე, გამოგიცხადოთ უგულითადესი პატივისცემა და სიყვარული. გურია აფასებს თქვენს ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობას მწერლობის ასპარეზზედ. დღეს აქ დამსწრე ჩვენ გურულთაგან მიიღეთ სალოცავად ეს წვლილი, ხოლო გურიამ გარდასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა თქვენ სახელზედ ფონდის შესადგენად. დასასრულ ვისურვებთ მზგავსად სვიმეონ მოხუცისა მოსწრებოდეთ იმ ბედნიერს წამს საქართველოსათვის, რომ შეძლებოდეთ გულ-დამშვიდებით ნუგეშ-ცემულსა წარმოთქმა: „აწ განუტევე მონა შენი მეუფეო სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი“.

## ადრესები და მილოცვანი.

—

იუბილარს, თავ. რაფიელ ერისთავს ადრესები და მილოცვანი მოუვიდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობისგან; ქუთათურ მანდილოსნებისაგან მშვენიერს თეთრის ხავერდის ყდაში, ბათუმის ქართველობისაგან—ტყავის ყდაში, გორის ქართველ საზოგადოებისაგან—მშვენიერს ყდაში, დაღესტნის ქართველებისაგან—ასეთისავე ყდითა და ქართველ ქალებისაგან საუცხოვო ყდაში, სომხურ ჟურნალ „აგბური“-სა და „ტარაზისაგან“, თავადის არჩილ ლევანის ძის თარხან-მოურავისაგან, კავკასიის საიმპერატორო, სამეურნეო საზოგადოებისაგან, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეებისაგან, თიანეთის სკოლის მოწაფეთაგან მიიღო მათი საკუთარი ხელთ საქმე, ხის სურათების ჩასასხმელი სახლი და ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებისგან.

კახეთიდგან, სენაკის სასულიერო-სააზნაურო, ნორმალურ და საქალაქო სასწავლებელთაგან, წინა-რეხის სასწავლებლისაგან, გურიიდგან, ექვთიმე ხელაძის სტამბისაგან, ტფილისის ქართველ ნოქართაგან, კიევიდგან, განჯისა და განჯის რკინის გზის სადგურის მოხელე ქართველთაგან, ქართველ ფარმაცევტებისაგან, ტფილისის დედათა საკვირაო სასწავლებლის მასწავლებელ ქალთა და მოწაფეთაგან, ქუთაისიდგან, „კავკაზის“ ქართველ თანამშრომელთაგან, წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან, მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისაგან, ივრის ხეობიდგან, ფშავ-ხევსურეთიდგან, დუშეთიდგან, თელავიდგან, ქვემო-ქიზიყიდგან, სამეგრელოდგან და ტფილისის ქართველ ხელოსანთაგან.

## დეპეშა.

მილოცვის დეპეშები მოუვიდა იუბილარს

მცხეთიდგან წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მზრუნველის ილია წინამძღვარიშვილისა და მასწავლებელთ მაღალოვისა, ასათიანისა, ხუნდაძესი, მეგრელიშვილისა, კავსაძისა და ბორეცკისაგან; ქვიშხეთელ ყიფიანებისაგან; მოსკოვიდგან—ქეთევან ჟურულისა და ნინო მაკარაშვილისაგან; პოლტავიდგან—თავადის მიხეილ ერისთავისაგან; ქიზიყის სახალხო დეპოსაგან; ოლთისიდგან—დუტუ მეგრელისაგან; გოქჩიდგან—ნიკოლოზ იოსელიანისაგან, პეტრე ბაქრაძისა და გიორგი იოსელიანისაგან; ბათუმიდგან—ბათუმის ქართველ ნოქრებისაგან; ფოთიდგან—გრიგოლ ეპისკოპოსისაგან; მცხეთიდგან იქაურის საზოგადოებისაგან; უჯარიდგან —ცხომელიძისაგან; ლანჩხუთის განყოფილების ბოქაულის ჯაფარიძისაგან; სუფსიდგან—ელეონორა გურიელისა, ძმათა გურიელებისა, ვარლამ ერისთავისა და კიტა აბაშიძისაგან; დარუბანდიდგან—თავადის ვლადიმირ ათანასეს ძის მაყაშვილისაგან; ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან; ლაგოდეხიდგან—თავადის დიმიტრი ერასტის ძის ჩოლოყაშვილისაგან; სიღნაღიდგან—მღვდლის თომა ასათიანისა, ბესარიონ ფურცელაძისა და ზაქარია აბაშიძისაგან; მოსკოვიდგან—ივანე თულაშვილისა, დიმიტრი პავლენკოვისა, დავით მაჭავარიანისა, ზურაბ ჩიკოიძისა, აბესალომ ჩარკვიანისა, ალექსანდრე კვამაშვილისა, თავადის ივანე ჩხეიძისა და ალექსანდრე ლაჩიაშვილისაგან; შამახიიდგან—შამახის ქართველთაგან—სალარიძის სახელით; სურამელ ქართველებისაგან; ყარსის ქართველებისაგან, — ახალციხის ქართველებისაგან; ბაქოდგან—სტეფანე დათაძისა, ბოთიაშვილისა, გიორგი დოტაძისა და ვანიანცისაგან, სიღნაღიდგან იქაურ ქართველებისაგან; ცხინვალიდგან—შინდისის ქართველ საზოგადოებისაგან, იქიდგანვე გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სულხანიშვილისაგან, თელავიდგან იქაურ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავადის მაყაშვილისაგან, ოდესიდგან პროფესორის პეტრიაშვილისა და მაშკოვისაგან, ქიათურიდგან იქაურ ქართველებისაგან, ქუთაისის ქართველ ნოქრებისაგან, ფოთის ქართველებისაგან და კიევის ქართველ სტუდენტებისაგან; დერპტიდგან — იქაურ ქართველ სტუდენტებისაგან, ოდესის ქართველ სტუდენტებისაგან, არიოლიდგან—ნიკოლოზ ტუსიშვილისაგან, გროზნოს სადგურიდგან — გროზნოს ქართველებისაგან, მოქვიდგან —სამეგრელოს თავად-აზნაურთაგან, გუდაუთიდგან — იქაურ ქართველებისაგან, ხარკოვიდგან — იქაურ ქართველ სტუდენტებისაგან, პეტერბურგიდგან—იქაურ ქართველ სტუდენტებისაგან, ქუთაისიდგან—ელისაბედ ერისთავისაგან (ლორთქიფანიძის ასული), თელავიდგან—კახეთის სოფლის მასწავლებლებისაგან; ახალ-ქალაქიდამ—ახალქალაქის ქართველებისაგან, ბორჯომიდამ—ნიკოლოზ აბაზაძისაგან, შუშიდამ იწერებიან თავ. აფხაზი, აბულაძე, გვერდწითელი, დუმბაძე, ზედგინიძე, მღ. აბაძე, მახარაძე, რცხილაძე და სულხანიშვილი.

გორიდგან კნეინა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, გორი—რევაზ ერისთავი, ძირულიდგან რკინის გზაზედ მოსამსახურე ქართველობა, ბათუმიდგან ბათუმის კერძო მასწავლებელი, ზაქათალა—ზაქათალელი ქართველობა, კიევი ქართველი სდუდენტები, ნახიჩევანიდამ—ნახიჩევნელი ქართველები, ცხინვალიდამ—ივერიელი. კიდევ ცხინვალი—ჯაფარიძე, ხიმშიაშვილი, ელიოზაშვილი, უზნაძე, ორჯონიკიძე, კვინიკაძე, კაპანაძე, ცისკარაშვილი, მაჩაბელი, განჯა იქაური სომხებიდამ, ლორის-მელიქოვი, ქუთაისიდამ—კირილე ლორთქიფანიძე, და ქუთაისელი ხელოსნები, ჭიათურიდამ—ჭიათურელი ქართველები, ახალი-ბაიაზეთი—იქაურ ქართველებისაგან, ბათუმიდამ — ქართველი ყმაწვილები. გრაკალიდიმ—თავ. ჯავახიშვილი, ერევნიდამ—ერევნელი ქართველები, ნუხიდამ—ნუხელი ქართველები. ცხინვალიდამ—ცხინვალელი ქართველები, ჯალალოღლიდამ— ჯალალოღლელი ქართველები, განჯა—ქართველი ყმაწვილები, აბაშიდამ—აბაშელი ქარ-

---

რება, მოიგონა მისი ისტორია და თაყვანი-სცა იმ სახელოვან მამა-პაპათა ხსოვნას, რომელთაც განადიდეს ძველად საქართველო. ამ ძველის დროის მოგონებასთან ერთად ქართველმა ერმა გაითვალისწინა ეხლანდელი თავისი მდგომარეობაც, შეადარა ეხლანდელი დრო ძველებურსა. ამ შედარებამ აშკარად დაანახვა მას, თუ რა ცვლილება მოხდა ჩვენის ერის ცხოვრებაში, მოხდა, რასაკვირველია, დროს შესაფერი ცვლილება: ქართველმა დედამ ძველებური გმირული ნანა ეხლანდელ მშვიდობიანის დროის შესაფერნანად შესცვალა და აკვანზედ დამღერს თავისს პირმშოს, რომ მან, როდესაც წამოიზრდება, გაუწიოს სამსახური თავისს სამშობლოს ხმლით კი არა, როგორც მისი მამა-პაპა შვრებოდა, ახალის, დროის შესაფერ იარაღით, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან. ამ იარაღშია ეხლა ხსნა, დიდება ð მომავალი ბედი; ეხლა იშვიათად ისმის ძველებურად ბრძოლის ველზე გმირული კიჟინი და ნაღარა. აშკარად ვხედავთ, რომ ამ იშვიათს ბრძოლაშიაც გამარჯვება იმას რჩება, ვინც ახალის იარაღით არის აღჭურვილი. ამ ახალს იარაღს დაედო ეხლა ყველგან დიდი ფასი, ეს იარაღი უფრო ბეჯითი და გამძლე გამოდგა, ვინემ ჩვენი მამა-პაპათა ხვარასნის რკინა, რომელსაც ჟანგი ადვილად ეკიდებოდა. სწავლა-განათლება ცივილიზაცია—ეგ არის იდეალი ეხლანდელის კაცობრიობისა და მომავალშიაც უთუოდ იგივე იქნება. ამ ცივილიზაციის რაოდენობით აღიწყვება დღეს ღირსება თითოეულის ერისა. მხოლოდ იმ ერს შეუძლია შერჩინოს სული არსებობისათვის გამწვავებულს ბრძოლაში, მხოლოდ იმ ერს ეღირსება პატივისცემა და მიეცემა ხმა საზოგადო კაცობრიობის კონცერტში, რომელიც მარჯვედ მიდის სწავლა-განათლების შუქით განათლებულს გზაზე. განათლების მქონე ერს ადვილად, დაუსჯელად დღეს ვერავინ დასჩაგრავს; ადრე თუ გვიან მის მტანჯველის წინააღმდეგ აღიჭურვება მთელი განათლებული კაცობრიობა და ანგარიშს მოსთხოვს; განათლებულის ერის სასარგებლოდ ხმას აღამაღლებენ კაცთ-მოყვარე დიდებული გლადსტონები და საქვეყნოდ გაჰკიცხავენ, შეაჩვენებენ უმეცარს, სისხლის მსმელს მტარვალებს... ვინც თანამედროვე კაცობრიობის ისტორიას აკვირდება, ყოველივე ამას ადვილად დაინახავს. აშკარაა, რომ ქართველმა ერმაც ამ უკანასკნელ ხანებში კარგად შეიგნო უმთავრესი თვისება ეხლანდელის დროისა, შეიგნო ეხდანდელი ცხოვრების მოთხოვნილება და დაადგა საჭირო გზას. უკანასკნელს ხანებში შეიგნო-მეთქი ვამბობ მისთვის, რომ ეგ საჭირო ჭეშმარიტი გზის ამორჩევა მართლა დიდი ხანი არ არის, რაც მოხდა. ამ თხუთმეტის წლის წინად ჩვენის საზოგადოებრივი ცხოვრების ზედ-მიწევნით მცოდნე პოეტი გულ-დაჩაგრული ასე მოსთქვამდა თავისს სამშობლოს წინ:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ გასჭვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაჰღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმუნოზის, ეჭვის და ტანჯვის
ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“

უსაფუძვლო როდი იყო ამგვარი გოდება პოეტისა. მართლაც საბრალო ქართველმა ერმა ბევრი მწარე ცრემლი დაღვარა, როდესაც იგი მოემწყვდა ახალი ცხოვრების ვიწრო კალაპოტში, იგრძნო ამ ცხოვრების საშინელი სუსხი, მისი სასტიკი მოთხოვნილებანი. ეგ ახალი ცხოვრება ზღაპრულ ცხოველსავით გარდაეღობა წინ თავ-ბრუ-დახვეულ ქართველს და ემუქრებოდა: გამომიცან, თორემ ჩაგნთქავო. ქართველი კი ძველს დიდებას და სახელს მოკლებული, ახალი ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი, განწირულებას ეძლეოდა და სრულიად უიმედო შეჰყურებდა თავისს ქვეყნის მომავალს... ღვთით ვგონებ, საუკუნოდ განქრა ეს საშინელი დრო ქართველისთვის. იქნება დღესაც ბევრი იყოს ჩვენში მისთანა ქართველი, რომელიც დაუძლურებულია გადამეტებულის პესსიმიზმით და სამშობლოს საკეთილდღეოდ გარჯა-მოღვაწეობას არჩევს უსარგებლოდ ცრემლი აფრქვიოს; მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, ეგ საზოგადო მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. რჩეულს ნაწილს ჩვენის ერისას აშკარად ეტყობა ეხლა სიფხიზლე; ი' გულმოდგინედ ცდილობს, რომ შეიძინოს, „ჭკუით განსჭვრიტოს საზოგადო ცხოვრების დენა». სამშობლოს სიყვარული ითხოვს ჩვენგან მარტო მის ქება-დიდებას-კი არა, მის ნაკლულევანებათა ჩვენებასაც. ქება-დიდებით ხომ არ გაიკურნება ის სენი, რომელიც აწუხებს ჩვენს სამშობლოს! ვინც ცნობიერად და მიუდგომლად გასინჯავს ჩვენს ძველს ისტორიულს ცხოვრებას, რასაკვირველია, ბევრს ნაკლულევანებას აღმოაჩენს მასში; ჩვენ მამა-პაპათა დიდებულ საქმეთა შორის მრავალი არა საქებარი საქმეებიც მოიპოვებიან. როგორც ვიცით, თვით ხალხის საყვარელს მეფე ერეკლესაც გამოაჩნდა, ზოგიერთი ისტორიკოსების გამოკვლევით, ერთი შესამჩნევი ნაკლულევანება—ნამეტანი სიყვარული უბრალოდ ომების გამოწვევისა და სისხლის ნთხევისა.

დღევანდელს საქართველოს არ ამშვენებს ის უდიდესი „ქვეყნის მადლი“, რომელიც მას ძველად ჰფენოდა და რომლის შესარჩენადაც იბრძოდა იგი იმდენი საუკუნოები; სატირალადაც ეგ დარჩენიათ დღეს მის შვილებს.

ვცდილობთ დრო და ვითარების მიხედვით, რომ შევიძინოთ სწავლა-განათლება, რომ ავაღორძინოთ სამშობლო ლიტერატურა, რომ დავიცათ გადაგვარებისგან ჩვენი დედა-ენა; ვცდილობთ, რომ მეცნიერები გვეყოლოს. იქნება ჩვენს მეცადინეობას ჯერ მაინცა-და-მაინც დიდი ნაყოფი არ მოეტანოს, მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ, უნდა ვიშრომოთ ბრწყინვალე მომავალისთვის; არ უნდა განვიშოროთ ფიქრთაგან, რომ მომავალი იმ ერს ეკუთვნის, რომელიც შრომობს. წარმატების ნიშნები ქართველ ერს ამ ორის წლის წინად ნათლად გამოაჩნდა, როდესაც მან დიდის ხნით დავიწყებულის თითქმის 50 წლის წინად გარდაცვლილის ნ. ბარათაშვილის ნაშტი საფლავიდგან ამოიღო და განჯიდგან ტფილისს მოასვენა იმ აზრით, რომ ჯერ კრძალვით მის წინაშე მუხლები მოედრიკა და მერმედ საუკუნოდ მიებარებინა დიდუბის ტაძრის მიწისთვის. სწორედ დიდებული აყო ეგ წამი მთელის ერის აღფრთოვანებისა და სასოებით მუხლის მოყრისა წინაშე დაუვიწყარის პოეტისა. ძნელად წარმოსადგენია იმისთანა უიმედო ქართველი, რომელიც იმ წამს დაესწრო და აღტაცებით არ წარმოსთქვა, ან გულში არ გაივლო პოეტის სიტყვები:

შავთა დღეთ ვერა შესცვლეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მებრძოლე შავის ბედისა!.

ბრწყინვალე ასოებით დაიწერება ეგ წამი მთელის ერის აღფრთოვანებისა ჩვენის ახალი ისტორიის ფურცლებზედ. ღმერთმან ქმნას, რომ ის აღმაფრენა, ის უმაღლესი გრძნობები, რომელნიც ქართველმა ერმა გამოიჩინა ბარათაშვილის ნაშტის მოსვენების დღეს, კვლავაც ხშირად გამოეჩინოს მას თვისდა სასახელოდ. აი სწორედ მაშინ დაინახავს განათლებული ქვეყნიერება ჩვენს წარმატებას და აღტაცებით დაგვიკრავს ტაშს; მაშინ დაინახავს ქვეყნიერება, თუ რის შემძლებელია დღესაც ძველად სახელოვანი ქართველი ერი და რა ბრწყინვალე ბედის ღირსია იგი...

ილ. პონტელი.

**შეცდომის გასწორება.**

კვირას, „ივერიის“ 228 №-ში, ბ-ნ ილ. პონტელის ფელეტონში შეცდომით არის შიგა-და-შიგ სიტყვა „სამოცეულ წლებში“, უნდა ბყოს: სამოციან, ანუ ორმოციან წლებში.

თველებისაგან, ქუთაისი—ფოსტის ქართველ მოხელეთაგან, მიხაილოვიდამ—მიხაილოვის სადგურზედ მოხელე ქართველებისაგან და კასპიდგან თავ. ამილახვრიანთაგან.

—

**ფოთი.** თქვენი ყოველმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართულ ლიტერატურაში შეადგენს ჩვენს დიდებას, ჩვენს სიქადულს. პირადად მე არ დამავიწყდება ის მზრუნველობა, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ საეკკლესიო ადგილ-მამულებს სამეგრელოში. სულით და გულით ვუერთდები თქვენს დღესასწაულზე მოსულს ქართველებს და ვვედრი ზენას განაგრძოს დღენნი თქვენნი სასიქადულოდ სამშობლო ლიტერატურისა.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი.

—

**ირკუტსკი.** ვეგებებით ჩვენის თანამემამულის პოეტის რაფიელ ერისთავის ორმოც-და-ათის წლის ნაყოფიერ მოღვაწეობის იუბილეს. ირკუტსკში მცხოვრებმა ქართველებმა პარაკლისი გადავიხადეთ ორს ტაძარში. დამსწრეთა შორის იყვნენ ადგილობრივი მწერლობის წარმომადგენელნი, რედაქტორი „ვოსტოჩ. ობოზ.“ პოპოვი, სტატსკი სოვეტნიკი შუკინი და სხვ. დეკანოზმა, აკადემიკოსმა შაფრანოვმა წარმოსთქვა სიტყვა და გამოსთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა ირკუტსკში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდეთ თავიანთი ეკკლესია, სადაც წირვა-ლოცვას ქართულს ენაზედ შეასრულებდნენო. ვთხოვთ რედაქციას გადასცეს პატივცემულს იუბილარს ჩვენი მილოცვა. ვისურვებთ, რომ ძვირფასს პოეტს კიდევ დიდხანს ეპყრას ხელთ დროშა თვისის ლიტერატურულის მოქმედებისა.

---

## დეპუტაციათა სია:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპ., თელავის თავად-აზნაურთა, ქალაქისა და ხალხისა, ქუთაისის ქალებისა, გურიის თავად-აზნაურობისა და ხალხისა, ტფილისში მცხოვრებ გურულებისა, გორის ქართველებისა, სამეგრელოს, აჭარა-ბათუმისა, ქობულეთისა, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთისა, დაღესტნის ქართველებისა, თუშებისა, ახალციხისა, წერა-კითხვის საზოგადოებისა, ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა, ტფილისის სააზნაურო სკოლისა, ქუთაისისა, სენაკისა, ტფილისის საკვირაო სკოლისა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა: „ივერიისა“, «კვალისა», „მოამბისა“, «მშაკისა», და «ტარაზისა». „კავკაზისა“, „ნოვოე ობოზრენიისა“, ველიჩკოსი — წარმომადგენლის რუსეთის პოეზიისა, მოსკოვის სტუდენტებისა, ტფილისის ქალთა წარმომადგენელთა, ქუთაისის ქალებისა, სამეურნეო საზოგადოებისა, საბალოსნო სკოლისა, თიანეთის სკოლისა, წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა, ბაქოს ქართველებისა, წინა-რეხის სკოლისა, ივრის ხეობისა, ჭიათურის მუშებისა, ხელაძის სტამბისა, ქართველ ფარმაცევტებისა, ოდესის ქათველ სტუდენტებისა, ტფილისის ნოქრებისა, ტფილისის დურგლებისა, ტფილისის მეჩექმეებისა, საჩხერის ქართველებისა, «მეურნის» რედაქციისა, „ტფილისის ლისტოკისა“, ქვემო ქიზიყისა, სიღნაღის მაზრისა, განჯის ქართველებისა, გაზ. „კავკაზ“-ის ქართველ თანამშრომელთა, კავკავის ქართველთა და ოზურგეთიდგან—ს. აკეთის მცხოვრებთაგან.

---

იმ დროს, როდესაც ჩვენი მგოსანნი
სიმთ აჟღერებდნენ სულ სხვა ხმაზედა,
აქებდნენ ვარდსა, შენატრდნენ ბულბულს
და ლოცულობდნენ შავ თვალებზედა,
იმ დროს, როდესაც იმათი ქნარი
ტოლთ შორის მეჯლიშს დასტრიალებდა,
სადაც კახურით შეხურებული
თავ-დახრილ კეკლუცს დასტრფიალებდა;
ჩვენ მოგვევლინა სულ სხვა მგოსანი,
მან სულ სხვა რიგად ჩანგი აჟღერა
და სხვა კილოზედ, სხვა გვარ გამსჭვალულ
თვისი სიმღერა ზედ დაამღერა.
იგი შეეხო ტვირთმძიმეთ სვესა
და მისის გულის შავსა ფიქრებსა
პირველმა იმან ბედ-უკუღმართთვის
ხელი ჩამოჰკრა ჩანგის სიმებსა;
უპირველესად იმისი ქნარი
დაჰფარფატებდა მაშვრალთ კერასა,
პირველად იმან მიაპყრო თვალი
ოფლიან მუშის გულის ძგერასა.
იგი თქვენა ხართ, ჰოი, მხცოვანო
და მადლით სავსე თქვენი კალამი,
თქვენ, თქვენ პირველმა საქართველოში
მოსთქვით დამაშვრალთ დარდი ვარამი.
თქვენ, თქვენ, გვიჩვენეთ, რა დუხჭირია
და უსამართლო ჩვენი ცხოვრება
და ან ვის ოფლზედ აშენებულა
ამ ქვეყნის ძლიერთ სიამოვნება,
აწ, გიხაროდეთ, თქვენ ჩანგთა ცემამ
უნაყოფოთა არ ჩაიარა
და იგრძნეს ყრმათა მაშვრალთა კვნესა
ვით საკუთარი რამე იარა.
იგრძნეს და კიდეც მისწრაფიან
წინ გადელობნენ უსამართლობას,
შემუსრონ იგი და მის ადგილი
გადაულოცონ ერთობა-ძმობას.

—

ბედნიერია, ვინც-კი მიაღწევს
თავისს გულის თქმას, თავისს საწადელს
და სიბერის ჟამს, რაც ყრმობით სთესა,
შეახებს თავისს ათრთოლებულს ხელს.
ბედნიერია, და თქვენც იშვებდით,
დღეს თქვენით ხარობს მთელი ივერი,
თქვენი სახელი უკვდავ იქნება,
ვიდრე არსებობს ქართველი ერი.

ი. ევდოშვილი.

---

## ნარკვევი

ჟურნალ-გაზეთებიდგან).

კარმოში მომხდარ შეთქმულობის შესახებ საფრანგეთის დეპუტატთა პარლამენტში 13 ოქტომბერსაც არ შემწყდარა კამათი; სხდომაზედ თითქმის სულ ჟორესი ლაპარაკობდა.

ამტყუვნებდა-რა მოხელეთ სხვა-და-სხვა უკანონო მოქმედებაში, სოციალისტთა თავმჯდომარემ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ შეთქმულობის ფულის ფონდს სეკვესტრი დაადვესო (აღკრძალვა). სეკვესტრით დაკავებულ საბუთის ქაღალდებს შორის ერთი 100 მარკის ბარათიც აღმოჩნდა ერთის მოხუცებულის ბერლინელ უფლებათა პროფესორისა, რომელსაც საშინლად აძრწუნებდა თურმე რასსეგიეს უსამართლო მოქმედება მუშათა შესახებ. თუმცა შეთქმულთა სასარგებლოდ 150,000 ფრანკი შეიკრიბა საფრანგეთში, სოციალისტთა მოწინააღდეგე გაზეთები მაინც ამტკიცებენ, რომ შეთქმულობა გერმანელთა ფულით იმაგრებს მხოლოდ ასე ხანგრძლივად ფეხსაო. და ამავე ჟურნალ-გაზეთებმა-კი სრულიად უყურადღებოდ დასტოვა ის გარემოება, რომ ფაბრიკანტმა რასსეგიემ გერმანელი მუშები იქირავაო.

მემარცხენეთა მხარეზედ ისმის ყვირილი, ფალესო: „ასე იქცევიან ყველა პატრონები! აი სწორედ ეგენი არიან „Sans patrie“?

შემდეგ ჟორესი ამტკიცებდა, რომ რასსეგიეს მოკვლის განზრახვა მხოლოდ მოხერხებულად ჩატარებული კომედიააო. ამბობენ, სოციალისტები ძალადობას ჰქადაგებენო, მაგრამ გაზეთი, რომელიც რასსაგიეს ჯამაგირით გამოდის, განა არ აქეზებდა ჟორესი მოეკლათ? შემდეგ ორატორი დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ დაამწყვდია სასტუმროში პოლიციამ ჟორესი და სხვა დეპუტატები მას შემდეგ, რაც რასსაგიეს მოკვლა განიზრახეს. „რისთვის გამჩხრიკეს მე? რა დანაშაული მქონდა ჩადენილი? რად მაიძულა პოლიციამ, რაც-კი რამ მქონდა ჯიბეში, ყველაფერი ამომელაგებინა და მეჩვენებინა, თითქმის დედის წერილიც-კი. როგორ შეუძლიან სასჯულო საქმეთა მინისტრს ასეთი განკარგულება მოახდინოს ხოლმე!“

სოციალისტებმა ხელახლად ყვირილი იწყეს. პრეზიდენტმა ძლივს-ძლივობით დაამყარა სიჩუმე.

შემდეგ ჟორესმა ტარნის დეპარტამენტის პრეფექტის წინააღმდეგ გაილაშქრა: „ეს კაცი კლემანსოსთან ქვემძრომობდა,— ეხლა-კი რასსაგიეს, გულის მოსაგებად, მთავრობას ტყუილს ხმებს უზიდავს. სასამართლოს გარდაწყვეტილება ქალაქის მოურავ კარმოსა და კალვინიაკზედ პრეფექტმა ერთის თვით ადრე განაცხადა, და ეს გარემოება-კი ამტკიცებს, რომ ადრევე უნდა ყოფილიყო ეს საქმე ერთმანეთში მოლაპარაკებული და გარდაწყვეტილიც პრეფექტსა და მსაჯულთა შორის. ყველა ეს მოხელენი ნამდვილად ბოროტნი არიანო“.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგა ნ).

23 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 22 ოქტომბერს იაპონიის საელჩომ იდღესასწაულა იაპონიის იმპერატორის დაბადების დღე. საელჩოში გაიმართა სადილი, რომელზედაც მიწვეული იყვნენ: გარეშე საქმეთა მინისტრი, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი, ფინანსთა და ზღვათა მინისტრები, უმთავრესის შტაბის უფროსი და სხვა წარჩინებულნი. თავ. ლობანოვ-როსტოვსკიმ დალია სადღეგრძელო იაპონიის იმპერატორისა, იაპონიის ელჩმა—რუსეთის იმპერატორისა.

**ვაშინგტონი.** იაპონიის ელჩმა შტატების მთავრობას წარუდგინა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იაპონია დასტოვებს კორეში ჯარებს იმ დრომდე, სანამ ლიატონგის ნახევარ-კუნძულიდგან არ გაიყვანს ყველა ჯარებს; იაპონიის ამგვარი გარდაწყვეტილება ეთანხმება სახელმწიფოთა აზრს ამ საგნის შესახებაო.

---


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტაროკამ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშტეიანცი, $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, $7—7^1/_2$ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
(857—1468)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა, რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.
(24—1819—24)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში
**ცხოვრება მეფე გიორგისა**
აღწერილი პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი ერთი მანეთი.

ახლად გამოვიდა გასასყიდად
**რეინიკე კუდა-მელა**
(ათის სურათით)
ნათარგმნი გ. იოსელიანის-მიერ.
გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა.
ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.
ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათი ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.
(5—6.—4)

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებლისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ახალი გამოცემანი:
**საჭმარეულო**
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
ფასი მანეთ ნახევარი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
**აღა-მაჰმად-ხანის**
შემოსევა ქ. ტფილისში.
თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოსში.

**ქირავდება**
რამდენიმე სადგომი. ადრესი: ჩუღურეთში, გონჩარნის ქუჩა, № 32.
მელქისედექ ნაკაშიძე.
(3—1968—2).

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად
ფილოსოფოსი
**სოკრატი.**
თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.